

## HUMAN RIGHTS WATCH

350 Fifth Avenue, 34th Floor  
New York, NY 10118  
Phone: 212-290-4700  
Fax: 212-736-1300  
hrwnyc@hrw.org  
Website: <http://www.hrw.org>

### EUROPE AND CENTRAL ASIA DIVISION

Elizabeth Andersen  
*Executive Director*  
Rachel Denber  
*Deputy Director*  
Diederik Lohman  
*Moscow Office Director*  
Julia Hall  
*Senior Researcher*  
Alexander Anderson  
Matilda Bogner  
Julie Chadbourne  
Bogdan Ivanisevic  
Anna Neistat  
Darian Pavli  
Acacia Shields  
Jonathan Sugden  
*Research Associates*  
Alexander Petrov  
*Deputy Director, Moscow Office*  
Liudmila Belova  
Rachel Bien  
Elizabeth Eagen  
Giorgi Gogia  
Maria Pulzetti  
*Associates*

### STEERING COMMITTEE

Peter Osnos, *Chair*  
Alice H. Henkin, *Vice Chair*  
Morton Abramowitz  
Barbara Finberg  
Frederica Friedman  
Felice Gaer  
Michael Gellert  
Paul Goble  
Stanley Hoffman  
Robert James  
Kati Marton  
Prema Mathai-Davis  
Karl Meyer  
Joel Motley  
Herbert Okun  
Jane Olson  
Leon Sigal  
Malcolm Smith  
George Soros  
Donald J. Sutherland  
Ruti Teitel  
Mark Walton  
William D. Zabel  
Warren Zimmermann

### HUMAN RIGHTS WATCH

Kenneth Roth  
*Executive Director*  
Michele Alexander  
*Development and Outreach Director*  
Carroll Bogert  
*Communications Director*  
Reed Brody  
*Advocacy Director*  
John T. Green  
*Operations Director*  
Barbara Guglielmo  
*Finance Director*  
Lotte Leicht  
*Brussels Office Director*  
Tom Malinowski  
*Washington Advocacy Director*  
Michael McClintock  
*Deputy Program Director*  
Maria Pignataro Nielsen  
*Human Resources Director*  
Dinah PoKempner  
*General Counsel*  
Malcolm Smart  
*Program Director*  
Wilder Tayler  
*Legal and Policy Director*  
Joanna Weschler  
*UN Representative*  
Jonathan Fanton  
*Chair*



## არაოფიციალური თარგმანი

## საქართველო: შევარდნაძემ ბოლო უნდა მოუღოს რელიგიის ნიადაგზე ჩადენილ ძალადობას

(თბილისი, საქართველო, 9 ნოემბერი, 2001წ.) – პრეზიდენტ შევარდნაძემ უნდა შეარჩოს ძალოვანი მინისტრები, რომლებიც შეძლებენ არამართლმადიდებელი ქრისტიანთა წინააღმდეგ ორგანიზებული ძალადობის აღმოფხვრას, განაცხადა Human Rights Watch-მა დღეს.

გასულ კვირას, პრეზიდენტ შევარდნაძემ მთელი მთავრობა დაითხოვა მას შემდეგ, რაც უშიშროების სამინისტრომ რეიდი განახორციელა დამოუკიდებელ ტელეკომპანია რუსთავი2-ზე, რამაც გამოიწვია ათასობით ადამიანის ქუჩაში გამოსვლა სიტყვის თავისუფლების დასაცავად. დღეს პრეზიდენტი სადმი გაგზავნილ წერილში Human Rights Watch-მა აღწერა ბოლო დროს მომხდარი რელიგიური ძალადობის ფაქტები და მოუწოდა პრეზიდენტ შევარდნაძეს გამოიყენოს ეს შესაძლებლობა და შეარჩოს ისეთი სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრები და გენერალური პროკურორი, რომლებიც შეძლებენ ძალადობისათვის ბოლოს მოღობას.

“ეს გახლავთ რწმენის თავისუფლების ძირითადი პრინციპი,” განაცხადა ელიზაბეტ ანდერსენმა, Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის აღმასრულებელმა დირექტორმა. “საქართველოს ხელისუფლება უკვე ძალიან დიდი ხანია თვალს ხუჭავს არამართლმადიდებელი ქრისტიანების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობაზე.”

ბრბოს ძალადობა, ხანდახან მართლმადიდებელი მღვდლის წინამძღოლობით, მიემართება იელოვას მოწმეთა, ევანგელისტების, ბაფტისტებისა და სხვა საქართველოსთვის არამშობლიური ქრისტიანული მიმდინარეობების წინააღმდეგ, რაც გამოიხატება შეკრებილთა ფიზიკურ შეურაცხყოფაში,

საცხოვრებელი ბინების გაპარტახებასა და რელიგიური ლიტერატურის განადგურებაში. 1999 წლიდან ოთხმოცზე მეტი ასეთი ძალადობრივი თავდასხმაა დაფიქსირებული; აღსანიშნავია, რომ 40-ზე მეტ ამ თავდასხმათაგან მიმდინარე წელს ჰქონდა ადგილი. ხელისუფლების, პოლიციისა და სხვა სამართალდამცავთა უმოქმედებით გათამამებულმა მოძალადეებმა გააჩვიეს თავდასხმათა რიცხვი. ძალადობათა უმრავლესობის ხელმძღვანელი ბასილი მკალავიშვილი, მართლმადიდებლური ეკლესიიდან მოკვეთილი მღვდელი, აშკარად აღიარებს პოლიციისა და უშიშროების ძალებთან თანამშრომლობის შესახებ.

მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისში, ხელისუფლებამ ბრალი წაუყენა მკალავიშვილს, მაგრამ არ დააპატიმრა და საშუალება მისცა მას განხორციელებინა მორიგი თავდასხმები. 24 სექტემბერს მკალავიშვილი მიუძღოდა დემონსტრაციას თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სადაც იგი მოუწოდებდა მის მიერ წამოწყებული რელიგიური ძალადობის კამპანიის გაფართოებისაკენ. ბრბოს მიერ განხორციელებულ სამ თავდასხმას, რომელიც წერილშია აღწერილი, ადგილი ჰქონდა სწორედ ამ კვირას.

Human Rights Watch-მა მოუწოდა პრეზიდენტ შევარდნაძეს კონკრეტული ქმედებებით გაამყაროს მისი რიტორიკა რელიგიური ძალადობის წინააღმდეგ. “ხელისუფლებამ იცის, ვინ ახორციელებს ამ თავდასხმათა უმრავლესობას და საკმარის სამხილს ფლობს მათ წინააღმდეგ,” თქვა ანდერსენმა. “დამნაშავეთა სამართალში მიცემა საჭირო იმისთვის, რომ ხალხმა შეძლოს უსაფრთხოდ ლოცვა.”

პრეზიდენტ შევარდნაძისადმი გაგზავნილი წერილის ასლი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტ გვერდზე: [www.hrw.org](http://www.hrw.org) .